


1.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სტრუქტურა და ფუნქციები

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები

- ა) ამწე-სატრანსპორტო და წნევის ქვეშ მომუშავე ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო;
- ბ) გაზის, ნავთობისა და ქიმიურ ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო;
- გ) სამთო ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო;
- დ) ადმინისტრაციული სამმართველო;
- ე) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;
- ვ) ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველო;
- ზ) განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნებართვების სამმართველო;
- თ) საწარმოო, საზოგადოებრივი და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის სამმართველო;
- ი) ენერგოგენერაციის და მასთან დაკავშირებული ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის სამმართველო

სტრუქტურა



სააგენტოს ფუნქციები

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სააგენტო ახორციელებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების კონტროლსა და ზედამხედველობას, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემასა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემა;

ბ) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა;

გ) უწყებრივ რეესტრში ობიექტების რეგისტრაციის წარმოება;

დ) ობიექტის სავალდებულო ინსპექტირების განხორციელება ინსპექტირების ორგანოს მეშვეობით, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ე) დამრღვევი პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება;

ვ) განსაკუთრებული მნიშვნელობის მშენებლობადამაჯრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება;

ზ) ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების შემუშავება მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში;

თ) ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ოქმების დოკუმენტური კონტროლის განხორციელება ტექნიკური ინსპექტირების ოქმებისა და საინსპექციო ორგანოების ანგარიშების ანალიზის მეშვეობით;

ი) მითითებების გაცემა ან/და გონივრული ვადის განსაზღვრა შეუსაბამობის გამოსწორებისათვის;

კ) „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-18 მუხლის მე-5 ნაწილში მითითებულ ობიექტებზე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების განხორციელება, ამავე კოდექსის აღნიშნული მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში (ინსპექტირების ორგანოების ჩამოყალიბებამდე);

ლ) პერსონალის გადამზადება, სწავლება, ამ მიზნით ტრენინგებისა და კურსების ჩატარება.

მ) პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით დადგენილი წესითა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება;

ნ) კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.